№ 39. თბილისი. 1942 წ. ნოემბერი. გამოცემის წელი XIX. გამომცემლობა „კომუნისტი“ ფასი: 50 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4/XII 42
5 ...
№ 129

# ნიანგი

## გეგმა ჩაეფლავდა

„გერმანელთა წაწოწევას სამხრეთით ნავთიანი რაიონებისაკენ თავისუფლად მოხმარე მიზნად ჰქონდა არა უმარტო და არა იმდენად ნავთიანი რაიონების დაკავება, რამდენადაც ჩვენი მთავარი რეზერვების მიზიდვა სამხრეთით და მოსკოვის ფრონტის შესუსტება“.

(ი. სტალინი)

ნახ. გ. ლომიძისა




დონკიხოტმა თავის ჯაბრაკს ნავთისაკენ უქნა პირი
და ჰყვიროდა: გზა იქით მაქვს, საითაც მიდის ჩემი ვირი,
ჩუმ-ჩუმად კი მოსკოვისკენ გასცქეროდა არამზადა,
მაგრამ გეგმა ჩაუფლავდა, რაც ვერაგმა დაიქადა,
ვერც ნავთამდე მიაღწია, ვერც მოსკოვს სწვდა ბილწი ხელით,
თუმც გაულეტილ ფრიცებითა მოიფინა მთა და ველი.

## შემოდგომის სეტყვა

ნახ. ლონისა



ცხელ ზაფხულის ოცნებები ცივ ტაროსით შეეცვალა,
შემოდგომის „სეტყვამ“ დაჰკრა, შეურყია თავის ქალა.

## უსტარი

ეჰა, მოჯარდით ყოველნი, მართ სმენად ფარსადანისად,
გითხრათ ამბავნი, მომხდარნი ევროპის სიგრძე-განისად.
გამცნოთ: ჰიტლერელ ყაჩაღთა თავი სად გორავს, ტანი—სად,
თუ ვით აქვთ ფრონტზე საქმენი—სარბენად „სავოგმანისად“:
აქ რომ ზაფხულის იმედით ფახი-ფუხობდნენ ტრაბახით,
და სტალინგრადი ეგონათ აწ საჯირითო ყაბახი,
მუნით ბაქოს ნავთს სწვეოდა სურდათ—ძირფართო თაბახით,
მართ ჩაუფლავდათ ზაფხული—სურვილს ვერ მისწვდნენ ნაბახნი,
კვლავ კავკასთანაც დაეხათ გიჟურ „ბლიც-კრიგის“ ფაფახნი,
ნახეთმცა მალე დაჭკნების ფაშიზმის ყოფის ზამბახნი.

* * *

ჰიტლერს ეგონა ეგვიპტეც მონაგებ-მონაღვაწები,
აფრიკაც სურდა საუზმედ ელუკმა-სისხლში ნაწები,
და ხმელთაშუა ზღვის პირით—მოსულში მისვლა ზავთითა,
ავსება ნაყაჩაღარით, კვლავცა დათრობა ნავთითა,
ფიქრობდა: „მოკავშირენი რას ფახვენ, რას მიქმიდიან?
აფრიკა მე მაქვს, შეტევას მაშ სადღა დაიწყიდიან?
რომმელი სუეც-ეგვიპტეს მოხრაკულს ბლუდზე მიდებსა,
ვეტყვი და ბერლინს მოზიდავს სფინქსებს და პირამიდებსა,
მოკლედ, მოწყალე ფორტუნა კვლავ არ დამტოვებს უქმადა,
მიპზეჯ მომაკრავს მსოფლიოს მოსანელებელ ლუკმადა.“

* * *

მაგრამ თქმულა: ძაღლი ჰყეფს და ქარავანი მაინც მიდის,
აწ ფორტუნა ჰიტლერისთვის წყალობასმცა დაზოგვიდის;
და ქვეყნებმა ალბიონის მოუსრისეს ჰიტლერს ყრონტი
უდაბნოში სამუმებად გაუჩინეს ფრონტზე-ფრონტი.
მართ სფინქსების სამშობლოშიც საყაჩაღოდ შეჭრილ რომმელს,
წააწყვიტა კუდის რიკი—სორონს ეძებს შესაძრომელს.—
მაგრამ სორო რას უშველის, ან სად ნახავს ისე ფართოს,
რომ ფაშიზმი დასამალად შიგ შეძვრეს და შეიმართოს?
მას ხომ ჩვენ ვცემთ, და ჩვენს დაკრულს მტერმა ისე რა უხერხოს,
რომ უგბილმან საბოლოოდ კისერი არ მოიტეხოს?
მე ეს ასე განვსჭვრიტენი, აწ თქვენც ხცანით არსი მისი:
უკვე დგება ფაშიზმისა დასასრულის დასაწყისი.

ფარსადანი

# აენვათ

გერმანელ ფაშისტებში აფრიკიდან მიღებულმა მარცხის ცნობებმა დიდი შეშფოთება გამოიწვია.

ნახ. დონისა



— მოქმედობს რადიო?
— დიახ... ნერვებზე.

# გაუცრუვდათ

გერმანელი ფაშისტები აქვეყნებენ ჭორებს, თითქოს ისინი სათბობი მასალის მოთხოვნილების 30 პროცენტს კავკასიის ნავთით იკმაყოფილებენ.

(გაზეთებიდან)

ხალხის საბრძნის ამსახველი
ანდაზაა ჩვენში ერთი
ეშმაკები ტიკს ალბობდნენ,
არხად იყო ღვინის წვეთი.

მხგავსი საქმე სასაცილო
ფაშისტ გზირებს ემართებათ,
ღვინის ნაცვლად ნავთის წვეთი
სწყურიათ და ელანდებათ.

შეესიენ ნავთისათვის
კავკასიის მთების კალთებს,
მაგრამ ნავთის მოლოდინი
გაუცრუვდათ მუხანათებს.

ქვიყნის დამცველ გმირებისგან
თავს დაატყდა რისხვა, მეხი.
შეღრკა შიშით ავაზაკთ ბრბო
ვეღარ წაუდგა მან წინ ფეხი.

ვერც გროზნოს და ვერც ბაქოს
ვეღარ მისწვდა მათი ძალა,
მაიკოპშიც მშრალზე დარჩნენ,
გამოევლოთ პირში ჩალა.

ნავთს ვინ ჯავრობს, გრძნობს მახეში,
რომ თავი აქვს გაყოფილი,
მაგრამ მაინც გაიძახის:
„ო, ბედით ვარ კმაყოფილი.

ხალხს ვუსრულებ დაპირებას,
მოვეხადე მათ წინ ვალი,
მოვიპოვე რაც მინდოდა,
შევიძინე ნატვრის თვალი.

კავკასიის ნავთით უკვე
სულს ვიბრუნებ, მითი ვხარობ,
ავისრულე რაც მინდოდა,
დრო დამიდგა ხანეტარო".

ო, ამნაირ ქცევაზეა
ეს ანდაზაც მონაკვეთი:
„ეშმაკებმა ტიკს ალბობდნენ,
არხად იყო ღვინის წვეთი".

ნ. იხარიძე

# საერთო ნიადაგი

ნახ. ი. კროტკოვისა



— უწვრელი ეფრეიტორი ულრიხი გერმანელ ოფიცერს ეცავდა ბრძოლის დროს და წითლებს მიუკლავთ.
— ახია მასზე. რა ჰქონდა მას გერმანელ ფაშისტთან საერთო?
— ნაქურდალი.

# დამნაშავე

ბულგარეთის მთავრობის გაზეთები მოითხოვენ თვეში ორი დღის განმავლობაში პურის ხმარების აკრძალვას მთელს სახელმწიფოში, რათა ამ გზით დაზოგონ სათესლე ხორბალი.

გაზეთებიდან.

სოფიის პოლიციის საგზნო განყოფილების უფროსი ყავას შეექცეოდა. ის იყო კარაქწასმული ბულკი ჩაკბიჩა და შაშხის ნაჭერი ჩანგალზე წამოაგო, როცა კარები გაიღო, მორიგე ჟანდარმი დეზების ჟღარუნით შევიდა და სარჩაულაპულივით გამოეჭიმა.

— თქვენო კეთილშობილებავ! მოიყვანეს სერიოზული დამნაშავე.— უთხრა მან სხაპასხუპით.

— შემოიყვანეთ,—გადაუგდო სიტყვა განყოფილების უფროსმა და შაშხის ნაჭერი ჩაიდო პირში.

მალე კარი გაიღო და ორმა პოლიციელმა მუჯლუგუნის ცემით შემოიყვანეს შუახნის, გამხდარი, ტანისამოსგაცრეცილი კაცი, რომელსაც თვალის ძირები ჩალურჯებული ჰქონდა,—ეტყობოდა პოლიციელების „ზრდილობიანი მოპყრობის" შედეგად.

— ვინ არის ეგ არამზადა?—წყრომით იკითხა უფროსმა.

— მოღალატეა,—თქვენო კეთილშობილებავ!

— მოღალატე?—მკვახედ ჰკითხა უფროსმა ნაცემ მოქალაქეს,—აი, თურმე ვინა ყოფილხარ, მე შენ დაგხვრეტ, ჩამოგახრჩობ, თავს მოგკვეთ ქოფაკო!

— ნამდვილად დამტკიცებულია მაგისი დანაშაული?—შეეკითხა ბილოს ის ჟანდარმს.

— ნამდვილად თქვენო კეთილშობილებავ, სწორედ დანაშაულზე წაასწრეს.

— ეს არამზადა კი თურმე ისე გათამამებული იყო, რომ აინუნშიაც არ აგდებდა ხელისუფლების წარმომადგენელთა იქ ყოფნას,—ვითომ აქ არაფერიაო, განაგრძობდა დანაშაულობრივ ქმედობას.

—მართალია?—ყვირილით შეეკითხა უფროსი პოლიციელებს. ისინი კვლავ აყვედნენ:

— დიახ, თქვენო აღმატებულებავ, სრული სიმართლეა, სრული ჭეშმარიტებაა, ვითომც აქ არაფერიაო,—განაგრძობდა ქმედობას.

— მერე თქვენ რა ჰქენით, ბრიყვებო?

— ჩვენ მაშინვე ვტაცეთ ხელი, თქვენო აღმატებულებავ!

— მერე?

— ჯერ იქვე გაუმასპინძლდით რეზინის ჯოხებით.

— მერე?

— მერე დავაპატიმრეთ და აქ მოვათრიეთ.

— მერე?

— მერე აქ, ბატონმა ჟანდარმმა დაკითხვის დროს თვალებში ფარნები აუნთო.

— მერე?—მიუბრუნდა უფროსი ჟანდარმს.

— მერე ჩვენება ჩამოვართვი, თქვენო კეთილშობილებავ.

— მერე?

— მერე ყველაფერში გამოტყდა, თავს დამნაშავედ მაინც არ სცნობს

— როგორ?—სახელმწიფოს წინაშე ღალატი ჩაიდინა და კიდევ თავს დამნაშავედ არ სცნობს?

— ჩამოგახრჩობ, დაგხვრეტავ, თავს მოგკვეთ არამზადავ!—მიუბრუნდა ის თვით „დამნაშავეს".

— მე საგიჟეთში მგონია თავი,—მიუგო მან დინჯად,—მე მუშა კაცი ვარ, ჩემი პატარა ნორმიდან ჯიბეში ჩამრჩენოდა, ამოვიღე და შევჭამე.

— დიახ, დიახ, სჭამდა, ნამდვილად სჭამდა, როცა დავიჭირეთ—შეაწყვეტინა ჟანდარმმა,—სჭამდა, თითქოს აქ არაფერიაო,—მერე დღეს ხომ უპურო დღეა, ეს ხომ სახელმწიფო საქმეა, დიდი ეროვნული საქმე. ეს კი ღალატობს ქვეყანას, არღვევს წესს, კანონს,—დიახ, დიახ, სჭამდა.

— რას სჭამდა?

— პურს სჭამდა თქვენო კეთილშობილებავ. პურს, ნამდვილ პურს.

— ო, მაშ დანაშაული აშკარაა, შეადგინეთ საქმე და ეგ მოღალატე საპყრობილეში გაგზავნეთ.—ნაცემი გაძვალტყავებული კაცი პოლიციელებმა გაათრიეს და როცა ჟანდარმი დეზების ჩხარუნით გავიდა და კარები გაიხურა, პოლიციის უფროსმა ყავა მოსვა და ჩაიბუზღუნა:

— არამზადა, მასთან ლაპარაკში ყავა გაციებულა, უჰ, რა უნდა უყოს კაცმა ამდენ დამნაშავეებს?

მახვილაკი

# ე ღ ვ ა

### დაკარგვა

ალექსანდრია. ელ-დაბის დასავლეთით უგზო-უკვლოდ დაიკარგა გერმანელი მოტო-მექანიზებული დივიზია. მნახველები ჯილდოს მიიღებენ.

### „მახეში გაბმული ჩიტები"

იქიდანვე. იტალიელი ჯარისკაცები (რომლებსაც ეგვიპტის ფრონტიდან გაქცევაში გერმანელებმა აჯობეს) აფრიკაში თავს ისე გრძნობენ, როგორც მახეში გაბმული ჩიტები. გერმანელი ჯარის ნაწილების „ფრენა" გრძელდება.

### საშემოდგომო თესვა

მილანი. ინგლისის ჯარების შეტევასთან დაკავშირებით იტალია-გერმანიის სარდლობამ ეგვიპტეში დიდი წარმატებით დაიწყო საშემოდგომო თესვის კამპანია. მარტო ორი დღის განმავლობაში იტალია-გერმანიის ჯარების მიერ ბრძოლის ველზე „დათესა" 40 ათასამდე ჯარისკაცი და 10.000 საარტილერიო ქვემეხი. „თესვა" გრძელდება.

### „შეცდომა"

ალექსანდრია. ინგლისელმა სნაიპერებმა გენერალი რომმელის ნაცვლად საიქიოს გაგზავნეს მისი მოადგილე გენერალი ფონ-შტუმი. სნაიპერები ამ შეცდომას მალე გამოასწორებენ.

### დაცემა გრძელდება

რომი. იტალიური ფაშისტური გაზეთი „ცასცაზმენტო" გადმოგვცემს, რომ გრძელდება, როგორც იტალიური ლირის კურსის დაცემა, ისე მთავრობის წევრების, მთელიან მალე დუჩეს დაცემასაც.

### დიდი „შელავათი"

ბერლინი. ჰიტლერმა აცნობა პეტენის „მთავრობას" იმის შესახებ, რომ იგი ჰპირდება მათ (პეტენსა და მის მინისტრებს) საოკუპაციო ჯარების მიერ საფრანგეთის დაკავების გამო, დატოვოს საზღვარზე ძველი ხელფასისა და რკინიგზის უფასო ბილეთების შენარჩუნებით.

# თავ შველიან

კესელრინგის პარტიის წევრები მასობრივად გადიან პარტიიდან.

გაზეთებიდან

ნახ. გ. ლომიძისა



— შეხედე, კესელრინგის ჯერში დამდგარან, ალბად რაიმე ხანოვაგეს იღებენ ის არამზადები!
— ამჟამად აღარაფერს ეძებენ, პირიქით, უკანვე აბრუნებენ მიღებულ... პარტიულ ბილეთებს.

# რომელი?

აქებდნენ იმას,—
როგორც დიდ ქალს.
ჰიტლერი მისგან
ელოდა ნადავლს.
აღმოსავლეთში
გაგზავნა იგი,
გაბერა, როგორც
ნაღვინე ტიკი.
„ვინ შეედრება
ჩვენში,— [illegible]
შენგან რა არის
მიუწვდომელი.
და ჩამოკიდა
მკერდზე მას [illegible]
უთხრა: ხომ იცი,—
ვაწვდი ომი [illegible]
და მან დაიწყო
ლამქრობა „[illegible]
ხმელთაშუა ზღვაზე
მან გადი [illegible]
და შეუტია
მტრებანს „[illegible]
ალაფრთოვანა
ბუნაგი ვიშის,
ბერლინსა და რომსაც
ზეიმი ჰქონდათ,—
ეგონათ,—იგი
მყისვე დაიპყრობდა
ეგვიპტესა და
მალე ინდოეთს,—
და სხვა ქვეყნებსაც
არ მოიტოვებს.
მაგრამ... დღეს იგი
გამორბის ჩქარა,—
უთხრეს: „სტუმრობა",
შენი აქ კმარა!
გაბრუნდეს უკან,—
უამბე ჰიტლერს,
ჯერ ეგ ცოტაა,—
მივარტყამთ იმდენს,
რომ ვეღარ გიცნობ,—
ვინ ხარ, რომელი?
სხვა გენერალი,
ხარ თუ რომმელი!

ფარნა ქვეყეხაური

# შეშფოთება ჯოჯოხეთში

ნახ. ნიკ. შჩეგლ[illegible]



ეშმაკი: —ასე ჩქარა ლამაზე ეგ ხაბაკ-ხუბაკი ქალაქ ორჯონიკიძის მახლობლებიდან წითლებმა ჩვენკენ ფაშისტების კიდევ ახალი [illegible] გამოაგზავნეს!

# შემთხვევა

(მიბაძვა)

— ამ შემთხვევას მე არასოდეს არ დავივიწყებ. ეს საშინელიც არის და სასაცილოც,—თქვა ფრონტზე მოხალისე წითელარმიელად მყოფმა აქტიორმა ვლადიმერ ტკაჩენკომ.—ერთ მშვენიერ საღამოს ჩვენს წიწვნარში ცენა მოვაწყვეთ. ფარდის მაგიერ ზეწარი ჩამოვაფარეთ. პიესაში იყო გერმანელი ოფიცრის როლი, რომელიც მე შევხვდა. ჩავიცვი ოფიცრის რუხი მუნდირი, შევიკარი ყველა ფოლაქები, სახეზე ცოტა გრიმიც გავიკეთე და...

უცებ საშინელი სროლა ატყდა. თურმე გერმანელები ჩუმად მოგვპაროდნენ ფლანგიდან. ერთ წამს მსახიობებიც და მაყურებლებიც ყველა გამოვცვივდით გარეთ, ვსტაცე ხელი ჩემს შაშხანას და გადავეშვი ბრძოლაში. უცებ ყუმბარის ნამსხვრევი მოხვდა ჩემს შაშხანას და ხელიდან გამაგდებია, მე კი წავიქეცი. დაცემისას სახე ხის ტოტს მოვახვედრე და ტუჩებიდან სისხლი თქრიალით წამოვიდა. წამოვდექი და ჭრილობაც საჩქაროდ შევიხვიე. იქვე ახლო გერმანელ ჯარისკაცთა ჯგუფი დავინახე, რომლებიც მოულოდნელად შეჩერდნენ და ხელი ამიღეს. მხოლოდ მაშინ მომაგონდა, რომ მე გერმანელი ოფიცრის მუნდირი მეცვა, რომლის გახდაც სცენებით დამეიწყებოდა. „ალბად ახლა კი ჩავვარდები"—ვფიქრობ ჩემთვის. მე ხომ გერმანულად ერთი სიტყვაც არ ვიცი. ამ დროს ჩემთან მივიდნენ გერმანელი ჯარისკაცები და რაღაცა შემეკითხნენ. როგორ უნდა ვუპასუხო ახლა? სწორედ აქ გამომადგა ჩემი აქტიორული ნიჭი. მივიღე ისეთი სახე თითქოს კონტუზიამიღებული და დამუნჯებული ვარ. გერმანელის კითხვებზე მე ღმუილით ვუპასუხე, როგორც შევატყვე, კარგად მიმყავდა ჩემი როლი. ამ დროს ჯარისკაცები გონზე მოვიდნენ და დაიწყეს რაღაც ჩურჩული ერთმანეთში, თან ცალი თვალით ჩემკენ იხედებოდნენ.

ეჰ,—ვფიქრობ, გამიცნეს, საზიზღრები... რა ვქნა? ჩემი შაშხანაც არა მაქვს. გერმანელი ჯარისკაცები გარს შემოერტყნენ. გადამაფარეს თავზე ფარაჯა, შემკრეს და სადღაც წამიყვანეს, რასაკვირველია დასახვრეტად, ებ, ნეტავ თუ წარმოიდგენთ რა არ გავიცადე მე იმ წუთში. უეცრად რუსული ლაპარაკი მომესმა. გამიხსნეს ხელები, გადამაცალეს თავიდან ფარაჯა და... ვხედავ ჩემკენ მორბის სერჟანტი ლაპატინი, ჩემი მეგობარი და პარტნიორი პიესაში. მეხვევა და მკოცნის.

— მე კი ვფიქრობდი,— მეუბნება ის,—შენ უკვე ცოცხლებში აღარ ურევიხარ მეთქი.—მივიხედ-მოვიხედე ირგვლივ ვხედავ რომ მე ისევ ჩვენს მიწურთან ვიმყოფები, ლაპატინი კი განაგრძობს:

—ეს ჯგუფი გერმანელებისა ტყვედ ჩაგვივარდა. ხო და რომ ესიამოვნებინათ ჩვენთვის, მათ თან მოიყვანეს „თავისი" ოფიცერი, ე. ი. შენ.

ტყვე გერმანელი ჯარისკაცები განზე გამდგარიყვნენ და გაკვირვებით მომჩერებოდნენ.

დ. გელაშვილი

# დიალოგი

გეოგრაფიის გაკვეთილის შემდეგ სამხედრო სკოლის ეზოში წითელმა კურსანტებმა საუბარი გამართეს.

— ვიმ აღმოაჩინა ამერიკა?
— კოლუმბმა.
— რომელი პლანეტაა ჩვენთვის უველაზე მახლობელი?
— მთვარე.
— რამდენი ხნის სავალია პარიზიდან მარსელამდე?
— ორი დღის.
— ბერლინიდან მოსკოვამდე?
— ვისთვის როგორ: ჰიტლერელთა ხროვა წელიწადნახევარზე მეტია, რაც მოსკოვის გზის გავლას ცდილობს და ვერ გაიარა. საუკუნის მანძილზე რომ იხოხოს, მაინც ვერ მიაღწევს.

### გადამწყვეტი ზომები

— ვაიგე, ვაიმე, რომ ჩვენმა მთავრობამ შეცვალა მომარაგების მინისტრი?
— მერე რა, შენ ფიქრობ, რომ დღეიდან უვინლიანდიას ექნება მომარაგება?
— არა, მას ეყოლება ახალი მინისტრი.

(„წითელარმიელი")

# აფრიკაში

ნახ. დ. რიონელისა



იტალიელი (გერმანელს)—ყველაფერში შენ გინდა ჩემთან პირველობა?—ეხლა მაინც დამიცადე, ერთად ვირბინოთ...

# პარტიზანის ნაამბობი

რომ ქალაქ მინსკს დაეუფლნენ
გერმანელი ბანდიტები,
ბევრ გარეწარს ლაებადა
ხურვილები ბანდიტების.
მთავარ ქუჩის მოსახვევში,
სადაც მე ვცხოვრობდი ადრე,
ვხედავთ—გაჩნდა ჩემს მეზობლად
ვიღაც უცხო მობინადრე,
ჩვენ მას წინად ვერა ვცნობდით,
ვერც ეხლა ვცნობთ თუ ვინ არის,—
ლატრიალდა ის უცნობი,
ჩვენს სარდაფში გახსნა „ბარი".

და ვაჭრობდა შავი ლუდით
დღით და ღამით იგი „ბარი"
და ისმოდა სარდაფიდან
ოკუპანტთა საუბარი.
ერთ საღამოს გესტაპოელს
ლუდს მიართმევს გამგე ბარის,
ის კი ჰკითხავს:—„აბა, ძველო,
მრავლის საქმე როგორ არის?"
უცებ ბარის მეპატრონემ
იქით-აქეთ მიიხედა,
უჩურჩულა:—„ამავ სახლში
პარტიზანის ცხოვრობს დედა."
ხუთი წუთის შემდეგ დედა
გაიყვანეს საწამებლად...
ცხადი არის, ის საბრალო,
გარეწართა გახდა მსხვერპლად...
...და რის ბარის მეპატრონე,
გვიან ღამით, დაზღვსა თვლიდა,
გულმხდულარემ, შევახედე
გამოღებულ ფანჯარიდან.
ჯამუში წამს აცახცახდა
დანახვაზე ხელყუმბარის...
ეხლა აღარც ის ჯამუში
და არც ბარი აღარ არის.

მურმანი

# ჯალათი რაციონალიზატორი

გერმანიის სამოსამართლო უწყების დიქტატორად დაინიშნა ჯალათი ტირაკი, რომლის განაჩენთა გასაჩივრება აკრძალულია.

გაზეთებიდან

ნახ. ვალზოლსკისა



ტირაკი: მოჰკვეთე მაგ ბავშვს თავი,—დადგენილების გასაჩივრება დროს მოითხოვს, მესამე იმპერიის ინტერესები კი გვფულებს დროს ფასი დავცდოთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეტამორფოზა
ანუ
ამხ. ი. სტალინის მოხსენების რადიოთი მოსმენის დროს ჰიტლერის და მისი დამქაშების

## სხვა და სხვა პოზა

ნახ. დ. რიონელისა




# ფრონტის იუმორი

## ახალი ბოტანიკაში

— ტოივო სუოარვი, რა და რა ხორბლეული მცენარეები იცი?

— ნაძვი, ბატონო მასწავლებელო.

— რატომ ფიქრობ შენ, რომ ნაძვი ეკუთვნის ხორბლეულ მცენარეთა ჯგუფს?

— იმიტომ, ბატონო მასწავლებელო, რომ რაც ფინეთში ჰიტლერის ჯარისკაცები მოვიდნენ, ჩვენი ოჯახი სჭამს მხოლოდ ნაძვის ქერქისაგან გამომცხვარ პურს.

(„სამშობლოს დასაცველად“)

## დაბომბვის შემდეგ

— დოქტორი გებელსი ამბობს, რომ რუსებსა და ინგლისელებს სხვადასხვა მიზნები აქვთ.

— ამ შემთხვევაში გებელსი მართალია: როცა რუსების ბომბები კენიგსბერგს ეცემოდა, ინგლისელთა ბომბები ეცემოდა დუისბურგს.

(„გადამწყვეტ ბრძოლისათვის“)

## სწორი დასკვნა

— ჩვენი ფიურერი ამბობს: „ომი — ეს მე ვარ!“

— მაშ, ომსა და ფიურერს ერთად მოეღებათ ბოლო.

(„მებრძოლი“)

## რუმინეთა ჯარში

— ჯარისკაცო ბეშტენესკუ, რამდენი ტყვია დახარჯე დღეს?

— ოცდახუთი

— რამდენი მოახვედრე მიზანში?

— ორი.

— სად არის ტროფეი?

— პოლკოვნიკ დრაპალესკუს მივართვი. მისმა წარჩინებულობამ განაცხადა, რომ ძლიერ უყვარს ქათმის ჩახოხბილი.

(„სამშობლოს პატრიოტი„)

# იოლად გამოდიან

გერმანიის არმიაში სულით ავადმყოფებსაც იწვევენ.

ნახ. დ. რიონელისა გაზეთებიდან



— რა არის, ფრიც, რომ ჩვენი პოლკოვნიკი ამ ბოლო დროს გიჟებს აგზავნის ფსიქიურ შეტევაზე?

— ხარჯს ერიდება. ჩვენ რომ გაგვაგზავნოს არაყი არის საჭირო, ისინი კი უარაყოდაც გიჟები არიან.

# გაამართლა

გერმანელ ჯარისკაცს ფრიც მიულერს მაქს ტყიულერი გამოექომაგა როცა მის შესახებ ასე განაცხადეს:

— როდესაც ქალაქი ენი ავიღეთ, ეფრეიტორი ფრიც მიულერი თავის ჯარისკაცებთან ერთად სასურსათო მაღაზიის საწყობში შევიდა და პროდუქტების ნაწილი გაიტაცა.

— არ არის მართალი! თქვენ ცილს წამებთ პატიოსან არიელ მხედარს.

— მართალია.

— ვიმეორებ, არ არის მართალი. პირდაპირ აუტანელია ასეთი ცილისწამება, ასე დამცირება ჭეშმარიტ არიელისა. ცილისწამებაა და მეტი არაფერი.

— სიმართლეა, მან პროდუქტების ნაწილი გაიტაცა.

— კიდევ იმეორებთ. ახ... რა ცილისწამებაა!..

— თქვენ რა იცით რომ ცილისწამებაა?

— მე თვითონ ვიყავი მათთან... ცილისწამებაა. მას პროდუქტების ნაწილი არ გაუტაცებია... მან და მისმა ჯარისკაცებმა სულ გაიტაცეს რაც საწყობში პროდუქტები იყო.

მ-ზა


სარედაქციო კოლეგია.

Сатирико-юмористический журнал „Ниангi“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 8-10-49

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1942 წ. 24/XI. ამხ. ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28. გამოშვ. № 64. შეკვ. № 1195. უე 13729



42-129
ეროვნული ბიბლიოთეკა